კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Psychology 3-Year Joint Program (with New Jersey City University – NJCU, USA)
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0313
ქართულად:	1. კავკასიის უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი; 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
ინგლისურად:	1. Caucasus University - Bachelor of Psychology 2. New Jersey City University - Bachelor of Arts in Psychology
პროგრამის დამტკიცების თარიღი	უნივერსიტეტის ბრძანება N01/01-88, 04.11.2025; უნივერსიტეტის ბრძანება N01/01-01, 8.01.2026.
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	მაია მაჭავარიანი-წერეთელი, ფსიქოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

ფსიქოლოგიის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 200 ECTS კრედიტს, პირველი ორი წლის განმავლობაში – 75-75 ECTS კრედიტს, ხოლო მესამე წელს - 50 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 3 წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვ.), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

პროგრამაში 140 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (125 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 15 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს). დარჩენილი 60 ECTS კრედიტი ნაწილდება თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე. კერძოდ, 25 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო სტატუსის მქონე ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს, 20 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგად ინგლისურ ენას, 5 ECTS კრედიტი - პროფესიულ ინგლისურ ენას, ხოლო დარჩენილი 10 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევითი სტატუსის მქონე მეორე უცხო ენას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, დოკუმენტურად დაადასტურებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის დონეს, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის გავლისგან და ამ კრედიტების ფარგლებში შეისწავლის ქართულ ენას. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი ამავდროულად ფლობს ქართულ ენასაც, მაშინ იგი უფლებამოსილია აღნიშნული კრედიტების ფარგლებში შეისწავლოს სხვა უცხო ენა ან აითვისოს ისინი თავისუფალი კრედიტების

პრინციპით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პროგრამას აქვს 3 ძირითადი მიზანი: **პროგრამის პირველი მიზანია** დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით და შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც საკუთარი პიროვნული განვითარებისთვის, ისე სხვებთან ინტერაქციის პროცესში და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში. სასწავლო პროგრამა აგებულია საუკეთესო საერთაშორისო აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ფსიქოლოგიის დარგში თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის შეძენასა და მოცემული დარგის ინტერდისციპლინიური, გლობალური პერსპექტივების წვდომას. **პროგრამის მეორე მიზანია** ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კონცეფციების, პრინციპების, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და ტენდენციების გარღმავებული ცოდნის შეძენა. ასევე ერთობლივი სწავლების პროცესში ინტერდისციპლინური და კროს-კულტურულ ხედვის განვითარება და სტუდენტების მომზადება განსხვავებულ კულტურულ გარემოში სწავლისთვისა თუ პროფესიული საქმიანეობისთვის. **პროგრამის მესამე მიზანია** ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად განახორციელონ აკადემიური თუ პროფესიული საქმიანობა მრავალფეროვან კულტურულ გარემოში.
პროგრამის სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგი** 1 სტუდენტები ავლენენ ფსიქოლოგიის სფეროს ფუნდამენტური ცნებებისა და პრინციპების, თეორიების, ისტორიული ტენდენციებისა და სფეროს ძირითადი სამეცნიერო აღმოჩენების საფუძვლიან და სისტემურ ცოდნას და იყენებენ ფსიქიკური პროცესებისა და ქცევის ინტერპრეტაციის მიზნით, როგორც ინტერპერსონალურ, ისე სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში. **სწავლის შედეგი 2** წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტები ატარებენ კვლევას ფსიქოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოლოგიისა და მიდგომების გამოყენებით. **სწავლის შედეგი 3** სტუდენტები განსაზღვრავენ მოცემული სფეროს ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპებს და იყენებენ ამ პრინციპებს პროფესიული კომუნიკაციიის, კვლევის დაგეგვისა და ჩატარების პროცესში; ავლენენ პატივისცემას განსხვავებული კულტურის წარმომადგენელების მიმართ, როგორც პროფესიულ ისე ინტერპერსონალურ კონტექსტში; გეგმავენ და წარადგენენ ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის სტრატეგიებს ეთიკური პრონციპების დაცვით.

	სწავლის შედეგი 4 სტუდენტებს გამომუშავებული აქვთ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაჭრისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და იყენებენ ამ უნარებს როგორც სამეცნიერო მონაცემების ანალიზისთვის, ისე ადამიანის ქცევასა და ფსიქიკურ პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. **სწავლის შედეგი 5** სტუდენტები განივითარებენ საფუძვლიან თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიაში და სფეროს შესაბამის ტრანსფერულ უნარებს ფსიქოლოგის კარიერის სასტარტო პოზიციაზე საქმიანობის დასაწყებად.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო) ზოდასაუნივერსიტეტო საგნები	**10**	**15**					**25**
1.	JACWR 0007	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5						5
2.	JCSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5						5
3.	JPHIL 1260	არ გააჩნია	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები		5					5
4.	JISOC 1260	არ გააჩნია	სოციოლოგიის შესავალი		5					5
5.	JHIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია		5					5
			ზოგადი ინგლისური	**5**	**5**	**5**	**5**			**20**
1.	JENGF 0001	არ გააჩნია	B2+ ზოგადი ინგლისური ენის უნარები 1	5						5
2.	JENGF 0002	JENGF 0001	B2+ ზოგადი ინგლისური ენის უნარები 2		5					5
3.	JENGL 0009	JENGL 0002	C1.0 ზოგადი ინგლისური			5				5
4.	JENGL 0010	JENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური				5			5
			პროფესიული ინგლისური	5						**5**
5.	JENGS 0160	არ გააჩნია	PT პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)	5						5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			ძირითადი სწავლის სფერო პროფესიული საგნები (სავალდებულო)	**15**	**15**	**25**	**20**	**25**	**25**	**125**
1.	JPSYC 1160	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5						5
2.	JPSYC 1161	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის ისტორია	5						
3.	JPSYC 1162	არ გააჩნია	ბიოფსიქოლოგია	5						5
4.	JPSYC 1260	JPSYC 1160	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2		5					5
5.	JPSYC 1261	JPSYC 1160	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1		5					5
6.	JPSYC 1262	JPSYC 1160 JPSYC 1162	კოგნიტური ფსიქოლოგია 1		5					
7.	JPSYC 2160	JPSYC 1260	განვითარების ფსიქოლოგია			5				5
8.	JPSYC 2161	JPSYC 1260	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი			5				5
9.	JPSYC 2162	JPSYC 1262	კოგნიტური ფსიქოლოგია 2			5				5
10.	JPSYC 2163	JPSYC 1261	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2			5				5
11.	JPSYC 2164	JPSYC 1260	პიროვნების ფსიქოლოგია			5				5
12.	JPSYC 2260	JPSYC 2164	პოზიტიური ფსიქოლოგია				5			5
13.	JPSYC 2261	JPSYC 1260	სოციალური ფსიქოლოგია				5			5
14.	JPSYC 2262	JPSYC 2162 JPSYC 2161	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები				5			5
15.	JSPSS 2263	JPSYC 2163	მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი SPSS-ის გამოყენებით				5			5
16.	JPSYC 3160	JPSYC 2163	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის					5		5
17.	JPSYC 3161	JPSYC 2160	განვითარების ფსიქოლოგიის გაღრმავებული კურსი					5		5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
18.	JPSYC 3162	JPSYC 2161	შესავალი ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში					5		5
19.	JPSYC 3163	JPSYC 2261	კროს-კულტურული ფსიქოლოგია					5		5
20.	JPSYC 3164	JPSYC 2160 JPSYC 2161	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოპათოლოგია					5		5
21.	JPSYC 3260	JPSYC 2163 JPSYC 3160	დამამთავრებელი კვლევითი სემინარი						5	5
22.	JPSYC 3261	JPSYC 1260 JPSYC 2163	ფსიქოლოგიიის თანამედროვე საკითხები						5	5
23.	JPSYC 3262	JPSYC 2161	ფსიქოლოგიური ტესტირებისა და ფსიქომეტრიის საფუძვლები						5	5
24.	JPSYC 3263	JPSYC 2161	პათოფსიქოლოგია						5	5
25.	JPSYC 3264	JPSYC 1162	ფსიქოფარმაკოლოგია						5	5
			პროფესიული საგნები (არჩევითი)				**15**			**15**
1.	JPSO 2260	JPSYC 2160	განათლების ფსიქოლოგია				5			5
2.	JPSO 2261	JPSYC 1162 JPSYC 1260	ევოლუციური ფსიქოლოგია				5			5
3.	JPSO 2262	JPSYC 2161	იურიდიული ფსიქოლოგია				5			5
4.	JPSO 2263	JPSYC 2161	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია				5			5
5.	JPSO 2264	JPSYC 2161 JPSYC 2164	ფსიქოთერაპიის შესავალი				5			5
			თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი)		**5**	**5**				**10**
6.	JESP 0001;	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0		**5**					**5**

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
	JFREN 0001; JGERM 0001									
7.	JESP 0002; JFREN 0002; JGERM 0002	JESP 0001; JFREN 0001; JGERM 0001	მეორე უცხო ენა A1			**5**				**5**
			სემესტრი	35	40	35	40	25	25	
			წელი	75		75		50		